პატივცემულო კოლეგებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

დასრულდა კიდევ ერთი - 2022 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდი. განვლილი თვეები ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე დატვირთული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ პროცესებზე, პირველ რიგში, საყოველთაო უსაფრთხოებაზე, მსოფლიო წესრიგზე, რომელიც ჩვენს თვალწინ იცვლება - ჩვენს თვალწინ ახალი რეალობა ყალიბდება. ამასთანავე წინასწარ არავინ იცის როდის ჩამოყალიბდება და საბოლოოდ რა სახეს მიიღებს ეს ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი რეალობა. ასეთია ზოგადი ვითარება, რომელშიაც გვიხდება საქმიანობა. რამდენიმე წუთის წინ გახსნილი 2023 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდშიც უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, დიდი ალბათობით, ამგვარ, ჯერ ბოლომდე გაურკვეველ, მაგრამ იმედებით, ოპტიმისტური მოლოდინებით აღსავსე ვითარებაში წარიმართება.

ოპტიმისტური მოლოდინები კი უკავშირდება ცივილიზებული სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. იმედი გვაქვს, რომ ეს ბრძოლა აგრესორის სრული კრახით დასრულდება. საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსული ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ დახმარებას უწევდა და მომავალშიც გაუწევს უკრაინას. უმაღლესი საბჭოს სახელით, უკრაინელ ხალხს ვუსურვებთ ომის გამარჯვებით დასრულებას, ქვეყანაში სამართლიანი მშვიდობის დამყარებას. მოგეხსენებათ, არც ჩვენს უშუალო სამეზობლოში სუფევს მყარი მშვიდობა - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი ჯერ არ დასრულებულა. ვინც ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარების დინამიკას, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ აღნიშნული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მოგვარების პროცესი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ფინალურ ეტაპს უახლოვდება. ამასთან ერთად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება თუ უნდა დადგეს რუსეთის სამხედრო ყოფნის საკითხიც სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის სომხეთის რესპუბლიკაში. ერთი სიტყვით, ჩვენს რეგიონსა და მსოფლიოში, დიდი ალბათობით, ღრმა გეოპოლიტიკური ცვლილებებია მოსალოდნელი. ყოველივე ამის შემდეგ, არ შეიძლება გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში არ დადგეს რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხიც.

ახალი სასესიო პერიოდი და მთელი 2023 წელი უაღრესად მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური პროცესების თვალსაზრისითაც. წელს უნდა გადაწყდეს საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი. ევროკომისიის მიერ ამა წლის 3 თებერვალს გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოს ევროკავშირში წევრობის განაცხადის შესახებ, რომელიც ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების დონეს ეხება, იმედს გვისახავს, რომ 2023 წლის ბოლოს ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს. გარდა ამისა, მიმდინარე წელს სრულდება რუსეთის მიერ აფხაზეთის ე. წ. აღიარებიდან 15, აფხაზეთის დაცემიდან და მასთან დაკავშირებული ტრაგედიიდან კი - 30 წელი.

აღნიშნული მოვლენების, აგრეთვე მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, ასეთი ცვლილებებისთვის ჩვენი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ხელშეწყობის სურვილით მიმდინარეობდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. ასეთივე სურვილითა და სულისკვეთებით უნდა წარიმართოს მუშაობა 2023 წელს, მათ შორის საგაზაფხულო სასესიო პერიოდშიც.

არ გვაქვს საფუძველი ვიყოთ უკმაყოფილო 2022 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდში გაწეული საქმიანობით, თუმცა, მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა სამუშაო გეგმის მიხედვით აღებული ცალკეული ვალდებულებების შესრულება, ყველა წამოწყების ბოლომდე მიყვანა. პირველ რიგში, მოგახსენებთ, რომ გასული სასესიო პერიოდის განმავლობაში რეგულარულად ტარდებოდა უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომები, ასევე პრეზიდიუმის სხდომებიც. 17 პლენარულ სხდომაზე განხილულია 28 საკითხი, პრეზიდიუმის 21 სხდომაზე - 39 საკითხი. საშუალოდ კვირაში თითოჯერ, ზოგჯერ უფრო ხშირადაც ტარდებოდა, მათ შორის გაფართოებულ ფორმატში, ცალკეული კომიტეტების, კარგი გაგებით, ხმაურიანი სხდომებიც, სადაც უმნიშვნელოვანესი საკითხები იხილებოდა. სწორედ კომიტეტები წარმოადგენენ იმ მთავარ მუშა ორგანოებს, რომლებზეც მთელი ჩვენი საქმიანობის ძირითადი სიმძიმე გადადის. პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ ამა წლის 3 თებერვალს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კომიტეტების მუშაობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტიური, უფრო მრავალფეროვანი და დატვირთული გახდება. როგორც წინა წლებში, ამჯერადაც მიმდინარე საგაზაფხულო სასესიო პერიოდში იგეგმება პლენარულ სხდომებზე ხუთივე კომიტეტის ანგარიშის მოსმენა, სადაც ყველანი ერთად შევაფასებთ ჩვენი კოლეგების საქმიანობას. ეს გარემოება გვათავისუფლებს კომიტეტების საქმიანობაზე ვრცელი საუბრისაგან.

უმაღლესი საბჭოს ძირითადი ფუნქცია, მისი მთავარი მოვალეობა იყო და არის საკანონმდებლო საქმიანობა. ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება გავამახვილო საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე. მათი ავტორი გახლავთ აფხაზეთის მთავრობა, რომელიც მადლობას იმსახურებს საინტერესო და დროული საკანონმდებლო ინიციატივებისთვის. 2022 წლის 16 ნოემბერს უმაღლსმა საბჭომ პარლამენტში წარადგინა აფხაზეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ. ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს მისი განხილვის პროცედურა.

2022 წლის 22 ნოემბერს უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს წარუდგინა აფხაზეთის მთავრობიდან მოწოდებული კიდევ ერთი კანონპროექტი - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი 16 დეკემბერს დაამტკიცა. რამდენადაც არაპოპულარული და, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო იყო ჩვენთვის კანონში განხორციელებული ცვლილება, იმდენადვე აუცილებელი გახლდათ მისი მიღება გრძელვადიანი საცხოვრებლით დევნილთა დაკმაყოფილების კუთხით ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მძიმე, შეიძლება ითქვას, გამოუვალი მდგომარეობის გამო. ქვეყანა, ჩვენ ყველანი აღმოვჩნდით ისეთ ვითარებაში, როდესაც ათეულ ათასობით ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემდეგაც ბინების მიღების რიგში მყოფი დევნილი ოჯახების რიცხვი თითქმის არ შემცირებულა. არავინ იცოდა, საერთო ჯამში, რამდენი ოჯახია ბინით დასაკმაყოფილებელი და რა სახსრები იყო ამისათვის საჭირო. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა ძვირადღირებული პროგრამა, რომელიც არასოდეს დასრულდებოდა. შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა შეიძლებოდა მხოლოდ ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებით, როგორი არაპოპულარულიც არ უნდა ყოფილიყვნენ ეს რეგულაციები. უმაღლესი საბჭო დადგა მაშინ პოპულიზმსა და საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას შორის საკმაოდ რთული არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე. დეპუტატთა უდიდესმა უმრავლესობამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არჩევანი სახელმწიფოებრივი მიდგომის სასარგებლოდ გააკეთა.

ამასთანავე მინდა ხაზგასმით ვთქვა - საკანონმდებლო ცვლილებების ძირითადი არსის გათვალისწინებით, ის არ ყოფილა დიდი ენთუზიაზმით მოწონებული როგორც უმაღლესი საბჭოს წევრების, ისე თვით საპარლამენტო უმრავლესობის

წარმომადგენლების მიერაც კი, რომ არაფერი ვთქვათ პარლამენტის შემადგენლობაში მყოფ ოპოზიციურ ფრაქციებზე და პოლიტიკურ ჯგუფებზე. კანონპროექტის მიმართ აზრთა ამ ბუნებრივმა სხვადასხვაობამ საშუალება მოგვცა პარლამენტის წინაშე დამატებით დაგვეყენებინა ბინების განაწილების წესთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევენ დევნილ საზოგადოებაში. კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას პრინციპულად დაისვა საკითხი მონიტორინგის ჯგუფების მიერ ხშირად არასწორი დასკვნების შედგენის შესახებ, რაც, თავის მხრივ, იწვევს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას დევნილი ოჯახებისთვის ქულების მინიჭებისა და იმ ქულების საფუძველზე ბინების განაწილებისას. აქედან გამომდინარე, დაისვა საკითხი ბინების განაწილების უფრო სამართლიანი წესის შემოღების, პირველ რიგში, ე. წ. ძირი ოჯახების, ანუ უშუალოდ კონფლიქტის ზონიდან 30 წლის წინ გამოსული და დღემდე გაუსაძლის პირობებში მცხოვრები ადამიანების ბინებით დაკმაყოფილების შესახებ და ა. შ. მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები ხშირად ხარვეზებს რომ შეიცავენ, ამაზე მეტყველებენ აღნიშნულ საკითხზე დევნილთა სასარგებლოდ მიღებული მრავალრიცხოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით დევნილთა დაკმაყოფილება ყოველთვის სამართლიანად რომ არ ხდებოდა, ამის საილუსტრაციოდ პარლამენტში ითქვა, რომ დევნილებზე გაცემული არაერთი ბინა გაყიდულია, დაკეტილია ან გაქირავებულია. ერთი სიტყვით, ბინების განაწილების მთელი პროცესი სრულყოფას საჭიროებს.

ჩვენს მიერ წარდგენილი კანონპროექტის პარლამენტში დამტკიცებამდე საქართველოს პრემიერ - მინისტრს გაცხადებული ჰქონდა, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში 7 ათასი ბინა აშენდებოდა; კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ეს ციფრი თითქმის გააორმაგა და განაცხადა, რომ იგეგმება 13 ათასი ბინის აშენება. ეს ხომ ჭეშმარიტად გრანდიოზული გეგმაა, რომლის შესრულება, ხაზი მინდა გავუსვა - ბინების სამართლიანად განაწილების შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად მოაგვარებს ძირი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მწვავე პრობლემას. უმაღლესი საბჭო, კომიტეტები, რომლებსაც ბატონი რუდიკ ცატავა და ქ-ნი ადა მარშანია ხელმძღვანელობენ, აქედანვე უნდა შეუდგნენ მუშაობას პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან იმ მიზნით, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ჩვენი ინიციატივით ცვლილებების შეტანას ნამდვილად მოჰყვეს დადებითი შედეგები დევნილებისთვის, მოჰყვეს ბინების განაწილების ბევრად უფრო სამართლიანი წესის დამკვიდრება.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 2022 წლის 2 ნოემბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ. ამ უაღრესად აქტუალური, დევნილი და არა მარტო დევნილი მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონპროექტის ავტორიც აფხაზეთის მთავრობა გახლავთ. უმაღლესი საბჭო ყოველგვარი შენიშვნების გარეშე იზიარებს მთავრობის ავტორობით შექმნილი კანონპროექტით გათვალისწინებულ ცვლილებას მოქმედ კანონში, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში მისი წარდგენა გაჭიანურდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი კონსულტაციების შედეგად ეს მიზეზები ნაწილობრივ მაინც მოიხსნა და, იმედი მაქვს, მიმდინარე სასესიო პერიოდის საწყის ეტაპზე - დიდი ალბათობით, ამ თვის - თებერვლის მეორე ნახევარში შევძლებთ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის რამდენადმე რედაქტირებული ვარიანტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში წარდგენას.

ჩატარებული კონსულტაციების შედეგად იმ დასკვნამდეც მივედით, რომ აუცილებელია აღნიშნული კანონპროექტის ახალ ვარიანტთან ერთიან პაკეტში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონშიც ცვლილების პროექტის მომზადება და ისე წარდგენა პარლამენტში. იმავდროულად, პარლამენტიდან უნდა გამოვითხოვოთ ჯერ კიდევ 2020 წლის ივნისში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი. მთელს ამ არც თუ ისე მარტივ და მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებას უკვე შეუდგა იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავმჯდომარის კაბინეტთან, ასევე იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატთან აქტიური თანამშრომლობით. დარწმუნებული ვართ, კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ვახტანგ ყოლბაია უმოკლეს ვადებში შესაბამისი კანონპროექტებით წარსდგება უმაღლესი საბჭოს წინაშე. ჩვენი საერთო მიზანი გახლავთ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან თუ აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურების მაქსიმალური გამარტივება. ეს არის უმაღლესი საბჭოს ვალი იძულებით, საკუთარი ნების საპირისპიროდ უცხოეთში გადახვეწილი იმ ათასობით დევნილის წინაშე, რომლებმაც ასევე იძულებით დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა და ამჟამად სურთ საკუთარ სამშობლოში სრულუფლებიან მოქალაქეებად დაბრუნება; ეს არის უმაღლესი საბჭოს ვალი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი

თანამემამულეების წინაშეც, რომლებიც ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ გაცემული და ცივილიზებული სამყაროს მიერ უარყოფილი ცრუ პასპორტების ამარა არიან დარჩენილები.

პატივცემულ დეპუტატებს კარგად მოეხსენებათ, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა უმაღლეს საბჭოში არ შემოიფარგლება მხოლოდ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენით. მიმდინარე სასესიო პერიოდში საკანონმდებლო „მაცნეში“ გამოქვეყნდა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული 9 სამართლებრივი აქტი - კანონები, ცვლილებები რეგლამენტში, დადგენილებები. გარდა ამისა, კომიტეტებს უხდებათ არც თუ ისე მცირე დროის დათმობა პარლამენტიდან შემოსულ კანონპროექტებზე დასკვნების მოსამზადებლად. მიმდინარე სასესიო პერიოდში პარლამენტიდან შემოვიდა 250-ზე მეტი კანონპროექტი. მათი თითქმის 90 პროცენტი გადანაწილდა სამ კომიტეტზე - იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა, საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა კომიტეტებზე. კანონპროექტების დანარჩენი, არც თუ ისე მცირე რაოდენობა განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების და საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტებმა.

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება გახლავთ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აფხაზეთის მთავრობის წევრები ინტერპელაციის წესით ან მინისტრის საათის ფარგლებში არაერთხელ წარმდგარან უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე. გასული სასესიო პერიოდის განმავლობაში, უფრო კონკრეტულად 2022 წლის სექტემბერ-ნოემბერში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მინისტრის საათის ფარგლებში პლენარულ სხდომებზე მოვუსმინეთ ხუთივე მინისტრს - ქალბატონებს ეკა ხოფერიას, ნანა გაბელიას, ბატონებს ლევან თევზაიას, ლევან ჩაკვეტაძეს და დავით ფაცაციას. ყოველ ჯერზე ასეთი მოსმენები საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელებისა და იმავდროულად თანამშრომლობის კარგი ფორმაა კომიტეტების მიერ თავიანთ სხდომებზე და მუშა თათბირებზე მინისტრების, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირების მოწვევა. ურთიერთობის ასეთ ფორმას საკმაოდ ხშირად იყენებენ კომიტეტები, რაც ახალ სასესიო პერიოდშიც უნდა გაგრძელდეს. ჩვენი თხოვნაა პატივცემული მინისტრებისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების მიმართ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს პლენარულ

სხდომებზე მოსმენებისა და კომიტეტებზე შეხვედრებისას გამოთქმულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს. გამოცდილება, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ სფეროებში, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები თავთავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ერთობლივად მუშაობენ, იქ ყოველთვის ნაკლები პრობლემებია. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან საქმიანი ურთიერთობის დადებით მაგალითად წლებია მოგვყავს ბატონ რუდიკ ცატავას კომიტეტი, თუმცა ამ კუთხით არ შეიძლება დიდი პრეტენზიები გვქონდეს სხვა კომიტეტებთანაც.

ვინაიდან წარმოვადგენთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ოკუპირებული ტერიტორიისა, რომელსაც სახელმწიფო დროებით ვერ აკონტროლებს, ვალდებული ვართ ვიცოდეთ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც იმ ტერიტორიაზე ხდება; ვალდებული ვართ არა მხოლოდ ვიცოდეთ, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მივცეთ იქ განვითარებულ მოვლენებს და პროცესებს. დეპუტატებისთვის და დაინტერესებული საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა სისტემატურად ახდენს აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს სათანადო შეფასებებით. არ მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კონკრეტულ მაგალითებზე. ისინი საიდუმლოს არ წარმოადგენენ, მათი მოძიება უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზეა შესაძლებელი. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. კოლეგებისთვის ცნობილია იმის შესახებაც, რომ ბ-ნ დავით ჟვანიას ძალისხმევით სწორედ უმაღლეს საბჭოში უწყვეტ ნაკადად მოედინება და აქ იყრის თავს ყოველდღიური დეტალური ღია და არა მხოლოდ ღია ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ. ჩვენს გარდა, ამ ინფორმაციით სარგებლობენ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც.

უმაღლესი საბჭოს კომიტეტები თავიანთი პროფილის მიხედვით თვალყურს ადევნებენ და სწავლობენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს და ამის თაობაზე პერიოდულად უმაღლეს საბჭოს მოახსენებენ. 2022 წლის 14 სექტემბერს პლენარულ სხდომაზე მოვისმინეთ ბ-ნ მურმან კვარაცხელიას საფუძვლიანი მოხსენება „ოკუპირებული აფხაზეთის 2019-2021 წლების ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების სისტემური ანალაზის შესახებ“; 21 დეკემბერს ქალბატონმა ადა მარშანიამ წარმოადგინა არანაკლებ საინტერესო მოხსენება, რომელიც შეიცავდა ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის დე-ფაქტო რწმუნებულის მოხსენებების კრიტიკულ ანალიზს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მზადდება და მიმდინარე სასესიო პერიოდშიც მოგვიწევს სხვა მსგავსი მოხსენებების მოსმენაც. რადგანაც ადამიანის უფლებების მტკივნეულ თემას შევეხეთ, ვიტყვით, რომ

ეთნიკური ქართველების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით აფხაზეთში არსებული ვითარება სადღაც შუასაუკუნეების დონეზეა და მიუკერძოებელი ექსპერტის, სპეციალისტის მიერ იგი არ შეიძლება არ შეფასდეს 1992-1993 წლებიდან მომდინარე გენოციდის პოლიტიკის გაგრძელებად. უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობის, თითოელი ჩვენთაგანის ვალია ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობით როგორმე მივაღწიოთ ქართველთა დისკრიმინაციის გაუგონარი ფაქტების აღკვეთას თუ არა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მათ ადექვატურ შეფასებას მაინც.

როცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რუსეთის მიერ აფხაზეთის მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გააქტიურება. სხვათა შორის, აფხაზეთში ქართველთა დისკრიმინაციის მიზანმიმართული პოლიტიკაც კრემლის ანექსიონისტურ მიზნებთანაა გადაჯაჭვული. ამ დანაშაულებრივი მიზნების შესახებ უკვე გაჩნდა ჩანაწერები ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიერ 2021 წლის 12 აგვისტოს და 3 დეკემბერს, 2022 წლის 2 სექტემბერს გაკეთებული განცხადებები. მოსკოვის ანექსიონისტური ზრახვების დამადასტურებელ მაგალითებად მოტანილია ბიჭვინთის აგარაკების რუსეთზე გასხვისების მცდელობა, სოფელ აიბღას კრასნოდარის მხარესთან მიერთება, აგრეთვე 2020 წლის 12 ნოემბერს აფხაზებისთვის თავსმოხვეული დოკუმენტი - აფხაზეთის კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზით რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების „პროგრამა“.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ არასაკმარისი. რუსეთის მიერ მცოცავი ანექსიის პოლიტიკის გააქტიურებამ, პირველ რიგში, ასხვა უნდა ჰპოვოს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დოკუმენტებში. როგორც ვიცით, ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების სხდომაზე წელიწადში ორჯერ იხილება საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები სახელწოდებით „კონფლიქტი საქართველოში“. აღნიშნულ ანგარიშებში 2021 წლიდან გვხვდება მითითება აიბგაზე; უკანასკნელ 26-ე ანგარიშში, რომელიც 2022 წლის 17 ნოემბერს გამოქვეყნდა, მოხსენიებულია ბიჭვინთის აგარაკების გასხვისების საფრთხე, როგორც შეშფოთების საგანი.

ამასთანავე ანგარიშში არაფერია ნათქვამი რუსეთის ანექსიონისტურ მისწრაფებებზე, რისი დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითებია ზემოხსენებული დოკუმენტი - აფხაზეთის ე. წ. კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის

გზით რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების „პროგრამა“; 2022 წლის 19 იანვრის „შეთანხმება“ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადაცემისა და მისი სარგებლობის წესის შესახებ („რატიფიცირებული“ არ არის); 2022 წლის 4 აგვისტოს ხემოწერილი, „რატიფიცირებული“ და იმავე წლის 31 დეკემბერს ძალაში შესული „შეთანხმება“ 2022-2025 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობის შესახებ; ასევე 2022 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული და 29 დეკემბერს „რატიფიცირებული“ ე. წ. შეთანხმება რუსეთსა და აფხაზეთს შორის ორმაგი მოქალაქეობის დარეგულირების შესახებ. აღნიშნული სრულიად უკანონო „პროგრამებისა“ და „შეთანხმებების“ ნამდვილი მიზანი გახლავთ აფხაზეთის მოქცევა რუსეთის სამართლებრივ სივრცეში, ეკონომიკის წამყვანი დარგების, მეტ ნაკლებად მსხვილი ეკონომიკური და ტურისტული ობიექტების რუსეთის საკუთრებაში გადასვლა, ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობის მიერ დემოგრაფიული უპირატესობის მოპოვება. ყოველივე ამას სახელად ჰქვია მცოცავი ანექსია. სწორედ ამიტომ უმაღლესმა საბჭომ თავისი 2023 წლის 11 იანვრის დადგენილებებით უკანონოდ ცნო 2022 წლის 4 აგვისტოსა და 27 სექტემბრის „შეთანხმებები“.

მიმდინარე 2023 წელს აფხაზეთის მთავრობასთან ერთად ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რუსეთის ანექსიონისტური მიზნების შესახებ შეფასებებმა კონკრეტული მაგალითების მოშველიებით გადაინაცვლოს ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ზოგადი განცხადებებიდან ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დოკუმენტებში. მოგეხსენებათ, მიმდინარე წელი განსაკუთრებულია. სრულდება აფხაზეთში ომის დამთავრებიდან, 1993 წლის სექტემბერში მომხდარი კატასტროფიდან 30 და რუსეთის მიერ აფხაზეთის ვითომ აღიარებიდან 15 წელი. ამ თარიღებთან დაკავშირებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს აქტიური სამზადისი. შექმნილია ე. წ. სახელმწიფო კომისია დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. იგეგმება გრანდიოზული ზეიმისა და სხვადსხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათის ანტიქართული ღონისძიებების გამართვა როგორც აფხაზეთში, ისე რუსეთში და იმ ქვეყნებში, რომლებმაც აფხაზეთი აღიარეს, ასევე ევროპაშიც. „გამარჯვებისა“ და „აღიარების“ დღეების ხმაურიანი და საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნის მიზნით აფხაზეთის 2023 წლის ბიუჯეტში 150 მლნ რული, ანუ 2 მლნ დოლარზე მეტი თანხაა ჩადებული. ოკუპანტების მხრიდან იქნება ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური შემოტევა, რომელსაც ქართულმა მხარემ, პირველ რიგში, აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ სულ სხვა ფორმით, მაგრამ ღირსეულად უნდა ვუპასუხოთ.

სეპარატისტთა აღიარებით, მათ წაგებული აქვთ პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა ქართველებთან, რასაც ვეთანხმებით. საბოლოო ჯამში, გამარჯვება პოლიტიკურ დაპირისპირებაში, როგორც წესი, სიმართლის მხარეს რჩება. ამჯერადაც ასე იქნება, თუმცა სამუშაო ძალიან-ძალიან ბევრი გვაქვს.

დღევანდელი მიმართვის მიზანი არ გახლავთ კონკრეტული გეგმის წარმოდგენა ზემოხსენებულ თარიღებთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი გეგმა აუცილებელია და ჩვენს მთავრობასთან ერთად ის შემუშავებული იქნება. ამჯერად მოგახსენებთ მხოლოდ ზოგადად. აფხაზეთის ტრაგედიის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით ქართულ სახელმწიფოს და მასთან ერთად ჩვენ გვმართებს ნდობის აღდგენისა და შერიგების პოლიტიკის კიდევ უფრო გააქტიურება, აფხაზეთზე ჰუმანიტარული შეტევის გაძლიერება სამშვიდობო გზავნილების თანხლებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების სამართლიანი ინტერესების დაცვა, ქართულ ეკონომიკურ და ასევე სამართლებრივ სივრცეში მათი ჩართვის, ინტეგრაციის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობა და ა. შ. ცხადია, უნდა გადაიდგას ნაბიჯები დეოკუპაციის მიმართულებითაც. 30 წლის წინ მომხდარ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ტრაგედიას, იმედი გვაქვს, მიეძღვნება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს სპეციალური რეზოლუციები, როგორც ეს გაკეთდა 2018 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით. მომავალ რეზოლუციებში, მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც უნდა მიეცეს ობიექტური შეფასება 1992-1993 წლების ომს და მის კატასტროფულ შედეგებს, მშვიდობიანი მოსახლეობის - ბავშვების, ქალების, ხანდაზმული ადამიანების ეთნიკური ნიშნით უსასტიკესი მეთოდებით წამებას და მასობრივ ხოცვა - ჟლეტას. 30 წლის წინ აფხაზეთში ჩადენილ დანაშაულს, რომელიც განგრძობით ხასიათს ატარებს და სხვადასხვა ფორმით დღემდე გრძელდება, თავის დროზე ეუთომ ეთნიკური წმენდის კვალიფიკაცია მისცა. ჩადენილი დანაშაული კი თავისი მასშტაბებითა და სიმძიმით ვერ თავსდება მხოლოდ ეთნიკური წმენდის ჩარჩოებში და აშკარად ატარებს გენოციდის ნიშნებს. საქართველოს პარლამენტის არაერთ დადგენილებაშიც აფხაზეთში მომხდარი ტრაგედია ქართველი მოსახლეობის გენოციდად არის შეფასებული. გენოციდის მუხლით დღემდე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. ჩვენი სურვილია ეს ერთადერთი სწორი შეფასება დაფიქსირდეს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დოკუმენტებში. თანაც უპრიანი იქნება შეფასებები გაკეთდეს უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე რუსულ აგრესიასთან და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ აგრესორის მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთან კავშირში. ეს იმიტომ უნდა გაკეთდეს, რომ ველური სისასტიკით, ადამიანთა წამებისა და მასობრივი

განადგურების ფორმებით, შინაარსით, მიზნებით უკრაინის მოვლენები ხომ აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულის ზუსტი გამეორება გახლავთ და იგი მიზანმიმართულ, სისტემურ ხასიათს ატარებს.

ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის ფაქტის აღიარება მოხდეს არა 2008, არამედ1993 წლიდან და ეს აღიარებაც, შეფასებაც აისახოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში.

თავის მხრივ, უმაღლესი საბჭო ისედაც ვალდებულია დღევანდელი გადასახედიდან პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცეს ომს აფხაზეთში, მის შედეგებს. ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. შესაბამისი დოკუმენტის პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია. აფხაზეთში ომის დასრულების 30-ე წლისთავი ავალდებულებს სახელმწიფოს, გვავალდებულებს ჩვენ - აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, განსაკუთრებული პატივი მივაგოთ სამშობლოს ერთიანობისათვის დაცემულ გმირებს, მეტი ყურადღება მივაქციოთ ომის ვეტერანებს. ახლო მომავალში ყველა ამ საკითხზე უნდა გაიმართოს მსჯელობა მეომართა კავშირთან, მის ახალ ხელმძღვანელობასთან ბ-ნ ანზორ მარგიანის თავკაცობით. აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა საკითხებზე კი, ვფიქრობთ, გაიმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები აკადემიური სფეროს, პირველ რიგში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით - პირადად პატივცემული რექტორის, ჩვენი მეგობრის ბატონ ზურაბ ხონელიძის ხელმძღვანელობით.

ძალიან მოკლედ რომ შევაჯამოთ, აფხაზეთის ტრაგედიის 30-ე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს, ერთის მხრივ, აფხაზეთზე ჰუმანიტარული შეტევის გაძლიერება; მეორეს მხრივ კი, დეოკუპაციის მიმართულებით კონკრეტული და მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე იყო წინასწარი საუბრები საგარეო საქმეთა სამინისტროში და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან ბ-ნ რუსლან აბაშიძესთან. იქნება სხვა შეხვედრებიც.

რუსეთის მკვეთრად გამოხატული ანექსიონისტური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ კიდევ უფრო აქტუალურს ხდის პრობლემას, რომელსაც უძრავი ქონების, დევნილთა საკუთრების რეგისტრაციის პრობლემა ჰქვია. როგორც ცნობილია, ამ პოლიტიკის ერთ-ერთი სამიზნე სწორედ აფხაზეთში დარჩენილი უძრავი ქონებაა. დღეს აღნიშნულ თემაზე ვრცლად არ ვისაუბრებთ, რადგანაც კოლეგები ინფორმირებულები არიან უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის მიერ ამ

მიმართულებით წარმოებული საქმიანობის შესახებ, რომელიც მიმდინარე სასესიო პერიოდშიც აუცილებლად გაგრძელდება. ვფიქრობთ, აღნიშნულის თაობაზე უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში გაგზავნილი დასაბუთებული მიმართვები, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივები რეაგირების გარეშე არ დარჩება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, არც თუ ისე შორეულ მომავალში საჭირო გახდეს აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენა. ამ ტრიბუნიდან არაერთხელ თქმულა, რომ უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშავოს მომავალი ანუ თავისუფალი აფხაზეთის კონსტიტუციის ძირითადი მონახაზი, პროექტი. შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს მუშაობა უკვე დაწყებულია. ამჟამად მიმდინარეობს ცალკეულ ევროპულ ქვეყნებში ავტონომიების მოწყობის მოწინავე გამოცდილების საფუძვლიანი შესწავლა და განზოგადება. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში იგეგმება უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის სპეციალისტების მონაწილეობით საქმიანი ვიზიტების განხორციელება რამდენიმე ქვეყანაში, რომელთა გამოცდილება ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. მას შემდეგ, რაც აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის ძირადი დებულებები, ძირითადი მონახაზი ჩამოყალიბდება, მის განსახილველად, დასახვეწად შეიქმნება ფართო წარმომადგენლობითი კომისია, გვექნება მჭიდრო თანამშრომლობა პარლამენტთანაც. კონსტიტუციის პროექტს, ვიმეორებ, პროექტს და არა კონსტიტუციას, რა თქმა უნდა, დაამტკიცებს უმაღლესი საბჭო. მოვა დრო და აფხაზეთის კონსტიტუციის საბოლოო ვერსია სოხუმში დამტკიცდება.

აქვე მინდა შევეხო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბატონ რუსლან აბაშიძის ერთ საინტერესო ინიციატივას, რომელიც მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციის საკითხთანაც. 2022 წლის 24 ნოემბერს ბატონმა რუსლანმა წერილობით წარმოადგინა წინადადება აფხაზეთის სიმბოლიკის შემუშავებისა და დადგენის მიზნით საზოგადოების წარმომადგენლებისა და სპეციალისტების ფართო ჩართულობით უმაღლეს საბჭოში კომისიის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები. ჩვენს მთავრობასთან გარკვეული კონსულტაციების შემდეგ კომისიაც შეიქმნება და ეს ახლო მომავალში მოხდება. ამ შემთხვევაში არ მოგვიწევს მუშაობის ნულიდან დაწყება. ჯერ კიდევ წლების წინ საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოში უმაღლესი საბჭოს, მთავრობის, ასევე საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით არაერთხელ იქნა განხილული აფხაზეთის სიმბოლიკის საკითხი, შემუშავებულია პროექტებიც. მოგეხსენებათ, სიმბოლიკის თემა კონსტიტუციური, მაგრამ სპეციფიკური საკითხია. ამიტომ ამ მიმართულებით

მუშაობა კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პარალელურად ცალკე კომისიაში წარიმართება.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად კვლავაც რჩება აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან მუშაობა, მასთან ხშირი კომუნიკაცია, უშუალო კავშირი, ადგილებზე არსებული სოციალური თუ სხვა პრობლემების ადგილზევე გაცნობა, მათი მოგვარება ან მიტანა იქ, სადაც ეს პრობლემები უნდა გადაწყდეს. უკვე მესამე წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გამოინახა აღნიშნული მიმართულებით მუშაობის საუკეთესო ფორმა. ეს არის, თქვენი, პატივცემულო კოლეგებო, ასევე აპარატის თანამშრომლების ხელფასებიდან ყოველთვიურად გაღებული თანხებით ჰუმანიტარული აქციების ჩატარება დევნილთა ამა თუ იმ დასახლებაში. ამ აქციებით უმაღლესი საბჭო გამოხატავს თავის ნამდვილ და არა სიტყვიერ დამოკიდებულებას დევნილებისადმი, სიდუხჭირეში ჩავარდნილი ჩვენი თანამემამულეებისადმი, რომლებსაც 30 წელიწადზე მეტია დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად აფხაზეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოვადგენთ. ფრიად სამწუხაროა, რომ ორ დეპუტატს განსხვავებული პოზიცია უჭირავს და ამ უკეთილშობილეს აქციას დღემდე არ უერთდება. ჰუმანიტარული აქციები ორ თვეში ერთხელ სხვადასხვა რეგიონებში ტარდება. უმაღლესი საბჭო კონკრეტულ დახმარებას უწევს კონკრეტულ ოჯახებს, კონკრეტულ ადამიანებს, ვისაც ნამდვილად სჭირდება თანადგომა. ჩვენი დახმარება მაღალი ხარისხის პროდუქტების მიწოდებაში გამოიხატება. 2022 წლის განმავლობაში შემოწირულობამ 52 ათასი ლარი შეადგინა. 1300-ზე მეტ ოჯახს, ანუ 5 ათასამდე პირს გადაეცა საჩუქარი თბილისში, ბორჯომში, ქუთაისში, ზესტაფონში, საჩხერეში, ჭიათურაში, წყალტუბოში, ზუგდიდში, ჯვარში წალენჯიხაში, ფოცხოეწერში, ოკუპირებულ აფხაზეთშიც კი. არიან ოჯახები თბილისში, მცხეთაში, ქუთაისში, წყალტუბოში, ზუგდიდში, სენაკში და სხვაგანაც, რომლებსაც დახმარება ჩვენგან ყოველთვიურად მიეწოდება.

2022 წელს ჰუმანიტარული აქციები გაიმართა 30-მდე ჩასახლებაში. ორგანიზაციული თვალსაზრისით ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდია აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების დამსახურება. დევნილებთან ჩვენს შეხვედრებს, როგორც წესი, ესწრებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის მერები, საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოთა წევრები დევნილთა რიგებიდან და სხვა პასუხისმგებელი პირები. მათი თანდასწრებით იმართება გულახდილი საუბრები დევნილებთან მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. დევნილების მიერ დასმული ბევრი პრობლემა ადგილზევე წყდება, მათი ნაწილი წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებს მოაქვთ აფხაზეთის

მთავრობაში - იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროში; შეხვედრებზე ისმება ისეთი საკითხებიც, რომელთა შესახებ ჩვენგან ეგზავნებათ შუამდგომლობები სათანადო უწყებებს. მიმდინარე სასესიო პერიოდში, დეპუტატებისა და თანამშრომლების ნებით, შენატანები საქველმოქმედო ორგანიზაციაში ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ გაზრდილია, რაც საშუალებას მოგვცემს დავეხმაროთ მეტ ჩვენს თანამემამულეს და იმავდროულად დავამყაროთ მათთან უფრო მჭიდრო კონტაქტები.

2023 წლის თებერვლის ბოლოსათვის ჰუმანიტარული აქციები და, შესაბამისად, ჩვენი კონტაქტები დევნილებთან განახლდება. ყველას, ვინც რიცხავს თანხას საქველმოქმედო ორგანიზაციაში, აქვს სრული უფლება და გარკვეულწილად ვალდებულებაც მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ აქციებში, თვითონ მოიძიოს შეჭირვებული ადამიანები და უმაღლესი საბჭოს სახელით მიაწოდოს მათ დახმარება. ამ მხრივ მისაბაძ აქტიურობას იჩენენ ჩვენი კოლეგები ქალბატონები ეთერ ასტემიროვა, რაისა ქარაია, ბატონები თამაზ ხუბუა, რუდიკ ცატავა, ნუგზარ მგალობლიშვილი, ვახტანგ ყოლბაია, ანზორ წოწონავა, ჯემალ საჯაია, ზურაბ ჯგუბურია, მურმან კვარაცხელია, თეიმურაზ მჟავია, რომლებსაც ძალიან ხშირად ამა თუ იმ დევნილთან პირდაპირ სახლში საკუთარი ხელით მიაქვთ გამოყოფილი დახმარება.

მონაცემები სამი წლის განმავლობაში ჩატარებული აქციების შესახებ საკმაოდ შთამბეჭდავია: შემოწირულობამ შეადგინა 174 227 ლარი, საჩუქარები გადაეცა 3600-ზე მეტ ოჯახს, ანუ 13 ათასზე მეტ ადამიანს. სამ წელიწადში შესყიდულია და დევნილებისთვის გადაცემულია 37 ტონა პროდუქტი. ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ეს 37 ტონა ანუ 37 ათასი კილოგრამი გამოიტანო სავაჭრო ობიექტიდან, რამდენჯერმე დატვირთო და ჩამოტვირთო ავტომანქანიდან, მოახდინო მისი დაფასოება და ბოლოს ცალკე ყუთებში ლამაზად ჩალაგებული პროდუქტი მიიტანო ათასობით დევნილთან. სულ ახლახან, 2022 წლის 30 დეკემბერს, უმაღლესი საბჭოს მადლობის სიგელით დაჯილდოვდა ყველა ის თანამშრომელი, ვინც დევნილთა დახმარების კეთილშობილურ საქმეს უანგაროდ და გულწრფელად ემსახურება, ვინც უზარმაზარ ფიზიკურ სამუშაოს, როგორც წესი, არასამუშაო დროს დიდი სიამოვნებით ასრულებს. ესენი არიან უმაღლეს საბჭოს წევრთა და თანამშრომელთა ჯგუფის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა კვარაცხელია, ხვიჩა ქარდავა, თემურ ურიდია, გიგა შელია, ბესო დანელია, ნათია დარსანია, ზურაბ ქეცბაია, ვალტერ სანაია, ზურაბ ჯგუბურია

(უმცროსი), ნიკა ქარდავა, შორენა მირცხულავა, ნინო ასრათაშვილი, ნანა შამუგია, გელა პაპასქუა და სხვები. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ.

დევნილ მოსახლეობასთან მუდმივი კავშირის დამყარების მიზნით, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში ფუნქციონირებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ლტოლვილებთან ურთიერთობის განყოფილება ბ-ნ გურამ მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით. ბ-ნი გურამი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. განყოფილების განკარგულებაშია „ცხელი ხაზი“, რომელზეც გასული სასესიო პერიოდის განმავლობაში ასობით ზარი შემოვიდა; გარდა „ცხელი ხაზისა“, ასობით ზეპირი და წერილობითი განცხადება შემოდის კომიტეტებში. თავიანთ მომართვებში დევნილები ითხოვენ დახმარებას სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში, მათ შორის პროდუქტების მიწოდებას; ადამიანებს სჭირდებათ და ისინი ჩვენგან ითხოვენ კვალიფიციურ კონსულტაციებს ბინების მიღებასთან თუ დაკანონებასთან, სოფლად სახლის შესყიდვასთან, მოქალაქეობის, ასევე დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებასთან, სამართლებრივ თუ ყოფით საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენს თანამოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტში, რომელსაც შესანიშნავი პროფესიონალი და გულისხმიერი ადამიანი ქ-ნი ნინო ხუნჯუა ხელმძღვანელობს, მიიღონ და ღებულობენ კიდევაც მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს, სასარგებლო რჩევა - დარიგებებს, რაც მათ პრობლემების გადაჭრაში ეხმარება.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთ საშუალებად იქცა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საპილოტე პროგრამა. უმაღლეს საბჭოში აღნიშნული პროგრამა 2019 წლიდან ხორციელდება მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული აპარატის თანამშრომლის, დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოქმედ სხვადასხვა პროექტებში 143 მოსწავლე და ინგლისური ენის დაუფლებით დაინტერესებული 18 სტუდენტია ჩართული. მოგეხსენებათ, დისტანციური სწავლების მთავარი მიზანი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან მხოლოდ ურთიერთობის დამყარება არ გახლავთ, თუმცა შექმნილ ვითარებაში ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. უპირველესი მიზანი იყო და არის გალის რაიონის ქართველ მოსწავლეებს, რომელთა მიმართ საოკუპაციო რეჟიმი ღიად, გაცხადებულად აწარმოებს ასიმილატორულ, ბავშვების გონებრივი და

სულიერი დამახინჯების „საგანმანათლებლო“ პოლიტიკას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიეცეთ ქართული პროგრამების მიხედვით ქართულენოვანი განათლების კლასგარეშე მიღების შესაძლებლობა. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის ქ-ნ ეკა ხოფერიას ინიციატივით შექმნილი კიდევ ერთი საინტერესო, მაგრამ ჯერ მხოლოდ საპილოტე პროექტი, რომელიც ასევე მოსწავლეთა შეზღუდულ რაოდენობაზე ვრცელდება. აღნიშნულმა პროექტმა თვალნათლივ დაანახა ყველას, რამდენად მოთხოვნადი და რამდენად ეფექტურია ქართულ განათლებას მოწყურებული ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეებისთვის კლასგარეშე სწავლების დისტანციური ფორმა. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი საქართველოს პარლამენტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რომ არაფერი ვთქვათ უმაღლეს საბჭოზე, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტზე, რომელსაც ბ-ნი ნუგზარ მგალობლიშვილი ხელმძღვანელობს. მრავალწლიანმა ძალისხმევამ ჯერჯერობით მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისტანციური სწავლების შემოღების იდეა ყველა დონეზე გაზიარებულია. საკმაო ხანია შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქ-ნ ლია გიგაურის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში აუცილებელი ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად. ვთხოვთ აფხაზეთის მთავრობას, თქვენ, ბატონო რუსლან, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავაჩქაროთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების განხორციელებისა და შემდგომში მისი ამოქმედების ანუ გალის რაიონში დისტანციური კლასგარეშე სწავლების შემოღების პროცესი. ჩვენი ვალია ვიხსნათ ახალი თაობა, რომელიც გალის რაიონში იზრდება, ასიმილაციისაგან, გადაგვარებისაგან, გონებრივი და სულიერი დამახინჯებისაგან.

საინფორმაციო და იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურება - სრულყოფა რჩება უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტის ხემძღვანელის ხვიჩა ქარდავას დამსახურება უმაღლეს საბჭოს მუშაობის წარმოჩენაში. აღნიშნული დეპარტამენტის აქტივშია ქართულ, აფხაზურ და უცხოურ მედიაში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე ყოველდღიური ინფორმაციის მომზადება ოკუპირებულ აფხაზეთში და მის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ. მისასალმებელია საერთაშორისო კავშირების დამყარების წარმატებული მცდელობაც. ვგულისხმობ აფხაზეთში ე. წ. საპარლამენტო არჩევნების შესახებ ბ-ნ თენგიზ გასვიანისა და სლოვაკელი მკვლევარის მიერ ინგლისურ ენაზე

ერთობლივი წერილის გამოქვეყნებას გლობალურ საიტზე „ცენტრალური აზიისა და კავკასიის ანალიტიკოსი“. დეპარტამენტის მიმართ გვაქვს ასეთი რეკომენდაციაც - მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კომიტეტების საქმიანობის წარმოჩენას. უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე კი შუქდება მათი მუშაობა, მაგრამ იშვიათად და ძალიან მოკლედ. ვთხოვ კომიტეტების თავმჯდომარეებს ყველა სხდომის, ნებისმიერი აქტივობის ჩატარების შესახებ თქვენმა აპარატებმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტს.

ცალკე ხაზგასასმელია უმაღლესი საბჭოს უცვლელი პრეს-სპიკერის, ბრწყინვალე ჟურნალისტის, ასეთივე ბრწყინვალე ადამიანის ქ-ნ დალი ჯონჯუას ღვაწლი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბრიფინგების ორგანიზებაში, თანამშრომლობის გაღრმავებაში საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“, მედიაცენტრ „მთავართან“, მედიაჰოლდინგ „კვირასთან“, აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან და ა. შ. გრძელდება თანამშრომლობა ტელეკომპანია „ქართულTV“-სთან, რაც პირადად ჩვენი კოლეგის ბ-ნ მურმან კვარაცხელიას დამსახურებაა.

მიმდინარე სასესიო პერიოდში უმაღლესი საბჭოს ხელთ არსებული მთელი რესურსი, შესაბამის სამთავრობო სრუქტურებთან, სოხუმის უნივერსიტეტთან კოორდინაციით უნდა მიიმართოს აფხაზეთის ტრაგედიის 30-ე წლისთავთან დაკავშირებული საკითხების, პრობლემების გაშუქებისკენ.

დასასრულს, მოკლედ შევჩერდებით უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობაზე. როგორც ცნობილია, აპარატის უპირველესი მოვალეობაა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისთვის, ფრაქციებისთვის, ცალკეული დეპუტატებისთვის ყველა პირობის შექმნა, რათა მათ განახორციელონ თავიანთი უფლებამისილებები. სამწუხაროდ, იყო დრო, როდესაც გვიწევდა დისკუსიების გამართვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, სავალდებულოა თუ არა თანამშრომლებისთვის რეგულარულად სამსახურში სიარული, ყოფილიყო თუ არა ჩვენთან 8 საათიანი სამუშაო დღე და ა. შ. გვახსოვს, როდესაც სამუშაო დისციპლინასთან დაკავშირებული ელემენტარული მოთხოვნაც კი უსაქმურობას მიჩვეული უპასუხისმგებლო ადამიანების მიერ ე. წ. სალდაფონობასთან იყო გაიგივებული. ეს დრო დიდი ხანია, რაც სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა და ამაში, ისევე როგორ ბევრ სხვა საკითხში, დიდი დამსახურება კომიტეტების თავმჯდომარეებს მიუძღვით.

იყო დრო, როდესაც უმაღლეს საბჭოს კატასტროფულად აკლდა ახალგაზრდა, თანამედროვე განათლების მქონე პროფესიონალები სხვადასხვა სფეროში. შეიძლება

ითქვას, ეს დროც უკან მოვიტოვეთ. საბედნიეროდ, დღეს გვყავს დეპარტამენტების, სამსახურების, განყოფილებების, ასევე კომიტეტების აპარატების, როგორც წესი, გამოცდილი, მოტივირებული ხელმძღვანელები და შესანიშნავი ახალგაზრდა სპეციალისტები. უმაღლესი რანგის პროფესიონალები შრომობენ თავმჯდომარის კაბინეტშიც. აპარატში მუშაობენ გუშინ უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდებიც - სალომე საჯაია, მარიამ ინალიშვილი და სხვები. ამასწინათ უმაღლესი საბჭოს წევრებმა ერთად ვიხილეთ ვიდეომასალა იმის შესახებ, თუ როგორ ღირსეულად წარმოადგინა უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის პრობლემატიკა, როგორ დაიცვა საქართველოს ინტერესები ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტმა ნინო ბარამიამ ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების შემსწავლელ ცენტრში ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენელთა წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ აპარატში კარგი სპეციალისტები გვყავს, აუცილებელია მათ პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. ამ მიზნით ჩვენი საჯარო მოხელეები პერიოდულად მონაწილეობენ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში, რაც შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს.

დიდწილად პროფესიონალებით დაკომპლექტებული აპარატი, რომელსაც ბატონი ზურაბ მებონია თავის მოადგილესთან ბ-ნ დავით ჟვანიასთან ერთად ხელმძღვანელობს, მთლიანობაში ისეა აწყობილი, რომ ნამდვილად შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობის ზედმიწევნით შესრულება. რა თქმა უნდა, აპარატში პრობლემებიც გვაქვს, რომლებიც ყოველთვის თან ახლავს სამუშაო პროცესს, მაგრამ ეს პრობლემები სამუშაო პროცესშივე გვარდება ან უნდა გვარდებოდეს. აპარატს, მის თანამშრომლებს წინ ელით კიდევ ერთი გამოცდა - მიზეზთა გამო დიდი დაგვიანებით ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა, რაც, ბატონო ზურაბ, ამ თვის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

ქალბატონებო და ბატონებო! გილოცავთ საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნას და გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გმადლობთყურადღებისათვის!

2023 წლის 7 თებერვალი.